ეფექტური კომუნიკაციის როლი სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლებაში

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.19

მაია გელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Maia.gelashvili@gtu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-4842-1852

ნინო გაგუნაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი დოქტორანტი
gagunashvilin@yahoo.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-5591-9275

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია ძირითადი ფსიქოლოგიური და პედაგოგიური პრინციპები, გამოვლენილია სკოლამდელ აღზრდაში კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების თავისებურებები. ასევე, გაანალიზებულია, რომ ჩამოყალიბებული კომუნიკაციის უნარი უზრუნველყოფს წარმატებული კომუნიკაციის შესაძლებლობას, რადგან ის მოქმედებს, როგორც საკომუნიკაციო აქტივობის ძირითადი ფაქტორი. ცხოვრების ყველა ეტაპზე ეფექტური კომუნიკაციის უნარი აუცილებელია სოციალური ინდივიდებისთვის. განათლების პროცესი შეუცვლელი ფაქტორია. ამ სოციალური პროცესის რეალიზებაში, ხოლო სკოლამდელი პერიოდი, როგორც ამ პროცესის საფუძველი, ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაციის უნარების გადაცემის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისთვის. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგები დგანან დიდი პასუხისმგებლობის წინაშე, აღსაზრდელებისთვის შესაბამისი უნარების გადაცემისა და მათთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ხარისხიანი განათლებისთვის გადამწყვეტია, რომ სკოლამდელი დაწესებულების მასწავლებლებმა იცოდნენ ის ელემენტები, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ საბავშვო ბაღებში ბავშვებთან ურთიერთობისას და დაამყარონ ძლიერი კავშირები ამ მიმართულებით. სკოლამდელი აღზრდის სხვა წარმომადგენლები და მშობლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ კუთხით, რადგან ეფექტური კომუნიკაცია მასწავლებლებს, ადმინისტრაციას, მშობლებსა და ბავშვებს შორის ზრდის განათლების ხარისხს და ეფექტურობას. კომუნიკაციის პროცესი დამოკიდებულია მხარეთა კოორდინირებულ ქმედებებზე, მათ მიერ ერთობლივად გადაჭრილი პრობლემების გაგებაზე, ინფორმაციის გადაცემის შესაბამისი მეთოდების არჩევაზე და ქცევის თვითრეგულირებაზე. კომუნიკაციის უნარების ჯგუფები იდენტიფიცირებულია

მათი შინაარსის მიხედვით. სხვადასხვა ავტორები ხაზს უსვამენ სკოლამდელ ასაკში კომუნიკაციური უნარების მიზანმიმართული განვითარების მნიშვნელობას, როგორც მათი დადებითი კომუნიკაციური გამოცდილების დაგროვების პირობას, რომელიც რეალიზდება სხვადასხვა სიტუაციებში ბავშვებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან კომუნიკაციის პროცესში. ხაზგასმულია უფროსების აღზრდის კომუნიკაციური კომპეტენციის მნიშვნელობა სკოლამდელ ბავშვებში კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებაში. ცხადია, რომ ეფექტური კომუნიკაციის პროცესის მიღწევა შესაძლებელია იმ პირებთან, რომლებსაც აქვთ ეს ინფორმირებულობა, ფუნდამენტური კომუნიკაციის უნარები და შეუძლიათ თავიანთი ქმედებების გაანალიზება ამ კუთხით.
საკვანძო სიტყვები: სკოლამდელი აღზრდა, სკოლამდელი ასაკის ბავშვები, კომუნიკაციის უნარები, კომუნიკაცია, კომუნიკაციური კომპეტენცია.

Effective Communication in Preschool Education

Maia Gelashvili
Associate Professor, Georgian Technical University,
Maia.gelashvili@gtu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0009-4842-1852
Nino Gagunashvili
PhD Student, Georgian Technical University
Gagunashvilin@yahoo.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0007-5591-9275

Abstract

The article analyzes the basic psychological and pedagogical principles and identifies the features of the formation and development of communication skills in preschool education. It also analyzes the factors that the formed communication skills provide the opportunity for successful communication, as it acts as the main factor of communication activity. Having effective communication skills at all stages of life is a necessity for social individuals. The educational process is an indispensable factor in the realization of this social process, and the preschool period, as the basis of this process, is very important for ensuring and improving the transfer of effective communication skills. Preschool teachers face a great responsibility in terms of the difficulties of transferring adequate skills to their children and ensuring effective communication with them. For quality education, it is crucial that preschool teachers know the elements that they should take into account when interacting with children in

kindergartens and establish strong ties in this direction. Other representatives of preschool education and parents represent another link in the actions and results set to ensure effective communication and also play an important role in this regard, since effective communication between teachers, administration, parents, and children increases the quality and effectiveness of education. The communication process depends on the coordinated actions of the parties, their understanding of the tasks (problems) they jointly solve, the choice of appropriate methods of transmitting information and self-regulation of behavior. Communication skill groups are identified according to their content. Various authors emphasize the importance of the purposeful development of communication skills in preschool age as a condition for their accumulation of positive communication experience, which is realized in the process of communication with children, parents and teachers in various situations. The importance of the communicative competence of adult education in the formation of communication skills in preschool children is emphasized. The papers also emphasize the importance of adult communication competence in developing communication skills in preschool children. It is clear that effective communication processes can be achieved with individuals who have this awareness and fundamental communication skills and are able to analyze their actions in this regard.

Key words: Preschool education, preschool children, communication skills, communication, communicative competence.

შესავალი

კომუნიკაციის მნიშვნელობა ადამიანისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე აქტუალურია. იგი საშუალებას აძლევს ინდივიდებს განავითარონ, უზრუნველყონ ინტერაქციული პროცესები სასწავლო დაწესებულებებში, დასაქმების ადგილზე და ყველა სხვა სოციალურ გარემოში. კომუნიკაციის უნარის განვითარებას განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება მრავალფეროვან გარემში, სადაც ადამიანების, ემოციებისა და აზრების განსხვავებულობის მიუხედავად, ინდივიდებს, სოციალურ ჯგუფებს, ინსტიტუციებს შორის ყოველდღიურად, აქტიურ ურთიერთქმედებაშია ადამიანი. შესაბამისად, კომუნიკაცია სოციალური არსებებისთვის, აუცილებელი უნარია.

სკოლამდელი განათლების პერიოდში ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა, განხილულია მეცნიერთა მიერ სხვადასხვა კომუნიკაციის კონცეფციებსა და მეთოდოლოგიურ მიდგომებში. აქ კომუნიკაციაში იგულისხმება

მშობლებისა და საბავშვო ბაღის მიერ ინიცირებული ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებსა და ბავშვთა განვითარების პროგრესის საკითხებთან დაკავშირებით.[253]

ეფექტური კომუნიკაციის პიროვნული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები

სკოლამდელი ასაკი განსაკუთრებით საყურადღებოა კომუნიკაციური უნარების ფორმირებისთვის. ამ პერიოდში ბავშვში ყალიბდება სოციალური ინტერაქციის უნარი, ემოციური რეგულაცია და თვითშეფასება. კომუნიკაცია ერთდროულად არის პიროვნული უნარების, ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და სოციალური კონტექსტის შედეგი. სწორედ ამ ფაქტორების გააზრება და სწორად გამოყენება განაპირობებს წარმატებულ ურთიერთობებს, განსაკუთრებით, ადრეული განათლების პროცესში.

ქართველი ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია წარმოადგენს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც განმარტავს ქცევის არაცნობიერ წინაპირობებსა და მათ ზეგავლენას მოტივაციაზე. თეორიის თანახმად, განწყობა არის ადამიანის შინაგანი მზაობა გარკვეული ტიპის ქცევის განხორციელებისკენ, რომელიც ჩამოყალიბებულია წარსული გამოცდილების საფუძველზე და მოქმედებს ქცევაზე.

სკოლამდელი ასაკი განიხილება როგორც კრიტიკული პერიოდი, როდესაც ბავშვში ყალიბდება ძირითადი განწყობები გარემო, სწავლისა და სოციალური ურთიერთობების მიმართ. აღნიშნული პროცესები უმეტესად ხორციელდება იმ კომუნიკაციური გამოცდილებების გავლენით, რომლებსაც ბავშვები იძენენ აღმზრდელებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობით.

უზნაძის თეორია ხაზს უსვამს, რომ სწორედ პოზიტიური და თანადგომაზე ორიენტირებული კომუნიკაცია ქმნის იმ საფუძველს, რაც ხელს უწყობს ბავშვის სწავლისადმი მოტივაციის ზრდასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, ეფექტური კომუნიკაცია არა მხოლოდ ურთიერთობის მექანიზმია, არამედ შინაგანი განწყობების ჩამოყალიბებისა და რეგულაციის მნიშვნელოვანი საშუალება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადრეულ განათლებაში.[254]

ქართველი მეცნიერის შალვა ამონაშვილის ჰუმანური პედაგოგიკა წარმოადგენს ადამიანურ, ემპათიურ და ღირებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას,

[253] Epstein J. 2002. School, Family, and community partnerships—Your handbook for action. Thousand Oaks: Corwin Press.
[254] Uznadze, D. N. (1966). The Psychology of Set. Moscow: Nauka.

რომელიც ხაზს უსვამს ბავშვის სულიერ, ემოციურ და მორალურ განვითარებას. მისი თეორიის ძირითადი პრინციპებია: ბავშვის უნიკალური პოტენციალის აღქმა, პედაგოგისა და ბავშვის თანასწორი, მეგობრული ურთიერთობა, კომუნიკაციის სითბოთი და პატივისცემით გაჯერება, მშობლის, სკოლისა და სოციალური გარემოს თანამშრომლობა. ამონაშვილი ეფექტურ კომუნიკაციას მიიჩნევს ბავშვის ფსიქო-სოციალური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად და ხაზს უსვამს ემოციური განწყობის როლს სწავლებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაში. მისი ჰუმანური პედაგოგიკა მიმართულია ჩაანაცვლოს ავტორიტარული მიდგომები პატივისცემით, თანადგომით და ემოციური ინტელექტით, რაც ხელს უწყობს ბავშვებში პოზიტიური განწყობების, ემპათიისა და მოტივაციის განვითარებას, როგორც ეფექტური განათლების საფუძველს.[255]

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ეფექტური კომუნიკაციის ფორმირება არ შეიძლება იყოს განხილული მხოლოდ ინდივიდუალური კოგნიტური მახასიათებლების ჭრილში. ამ პროცესის სრული გაგება მოითხოვს მრავალმხრივი თეორიული ხედვების სინთეზს, რომლებიც აერთიანებს ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ლინგვისტურ პერსპექტივებს.

რუსი მეცნიერის ლევ ვიგოტსკის (1896-1934) სოციოკულტურული თეორია ფსიქიკური ფუნქციების ჩამოყალიბებას სოციალურ ურთიერთქმედებას უკავშირებს. მისი ძირითადი ცნება პროქსიმალური განვითარების ზონა(ZPD) — ხაზს უსვამს, რომ სწავლა უმეტესად ხდება იმ სივრცეში, სადაც ბავშვი იღებს მხარდაჭერას უფროსებისგან ან თანატოლებისგან (Vygotsky, 1978). ამ პროცესში ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ აზროვნების, მეხსიერების და თვითრეგულაციის ფორმირების ინსტრუმენტია. შესაბამისად, ვიგოტსკისთვის კომუნიკაცია განვითარების ცენტრალური მექანიზმია, რომელიც ბავშვს საზოგადოებისთვის ფასეული უნარებისა და ღირებულებების ათვისებაში ეხმარება.

ვიგოტსკის მოდელს უშუალოდ აგრძელებს ამერიკელი ფსიქოლოგის ალბერტ ბანდურას (1925-2021) სოციალურ-კოგნიტური თეორია, რომელიც ხაზს უსვამს დაკვირვებითი სწავლის (observational learning) როლს. ბანდურას აზრით, ბავშვი სწავლობს არა მხოლოდ პირდაპირი გამოცდილებით, არამედ სხვების ქცევებზე დაკვირვებითაც — რაც ასახულია ,,ბობო თოჯინას" ექსპერიმენტშიც[256] ბანდურას ცნებები, როგორიცაა თვითეფექტურობა და ურთიერთმოქმედი დეტერმინიზმი, აჩვენებს, ბავშვის როგორც სუბიექტის აქტიურ როლს საკუთარ განვითარებაში,

[255] ამონაშვილი, შ. (1996). ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლები. თბილისი: “მეცნიერება”.
[256] Bandura, A. (1977). Social Learning Theory. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.

თუმცა ამ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური და კომუნიკაციური გარემო. ამრიგად, ის ასახავს ვიგოტსკის იდეას, რომ სწავლა და განვითარება ღრმად სოციალური მოვლენებია. [257]

ენოვანი გარემოს სოციალურ-კულტურული მახასიათებლების გააზრებას გვთავაზობს ბრიტანელი სოციოლინგვისტის ბაზილ ბერნშტაინის (1924-2000) კომუნიკაციური კოდების თეორია. მისი დაყოფა შეზღუდულ და გაფართოებულ ენოვან კოდებს შორის მიუთითებს იმაზე, რომ ბავშვის მიერ გამოყენებული ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ კლასთან, ოჯახურ გარემოსთან და კულტურულ გამოცდილებასთან ბერნშტაინის მიხედვით, ენა ასახავს და აფორმირებს სოციალურ იდენტობასა და პოზიციას. ამიტომ, ბავშვი, რომელიც იზრდება ლინგვისტურად მდიდარ და სტრუქტურულ გარემოში, უკეთესად ერგება სასკოლო და საზოგადოებრივ სივრცეს. ეს თეორია ავსებს ვიგოტსკისა და ბანდურას ხედვებს — ისინი ყურადღებას ამახვილებენ კომუნიკაციის ფუნქციაზე, ბერნშტაინი კი მის სოციალურ წარმომავლობასა და გავლენას ახდენს აკადემიური შესაძლებლობების ჩამოყალიბებაზე.[258]

ბერნშტაინის ენობრივი სტრუქტურების ანალიზს კიდევ უფრო სისტემურ დონეზე ავითარებს ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს (1930-2002) სოციალური პრაქტიკის თეორია. ბურდიე ყურადღებას ამახვილებს ისეთ კონცეპტებზე, როგორიცაა ჰაბიტუსი, კულტურული და სოციალური კაპიტალი და ცნებები, რომლებიც ასახავენ ბავშვის პოზიციონირებას სოციალურ სივრცეში და მისგან გამომდინარე ქცევით მექანიზმებს. ბურდიეს მიხედვით, კულტურული კაპიტალი, რომელიც ყალიბდება ოჯახში, წიგნებთან ურთიერთობასა და ენოვან[259] პრაქტიკებში, განსაზღვრავს ბავშვის შესაძლებლობას წარმატებით ჩაერთოს განათლების სისტემაში. თუ ბავშვს არ გააჩნია ის ენოვანი და კულტურული რესურსები, რაც ფორმალურ განათლებაში ფასდება, ის წინასწარ აღმოჩნდება ნაკლებად ხელსაყრელ პოზიციაში რაც ხშირად სოციალური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზია. [260]

საბოლოოდ, ამ ოთხი თეორიის სინთეზი ცხადყოფს, რომ ეფექტური კომუნიკაცია სკოლამდელ ასაკში არა მხოლოდ ენობრივი უნარების დაგროვებაა, არამედ სოციო-კულტურული და ფსიქოლოგიური პროცესების ერთიანობა,

[257] Vygotsky, L. S. (1978). Mind in society: The development of higher psychological processes. Cambridge, MA: Harvard University Press.
[258] Bernstein, B. (1971). Class, Codes and Control: Volume 1. Theoretical Studies towards a Sociology of Language. London: Routledge & Kegan Paul.
[259] Bourdieu, P. (1986). The Forms of Capital. In Richardson, J. (Ed.), Handbook of Theory and Research for the Sociology of Education (pp. 241–258). New York: Greenwood Press.
[260] Bourdieu, P. (1977). Outline of a Theory of Practice. Cambridge: Cambridge University Press.

რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ფსიქო-სოციალურ განვითარებასა და განათლებაში წარმატებას.[261] კომუნიკაციის ეს ყოვლისმომცველი გაგება ხელშემწყობია ისეთი სასწავლო და სოციალური გარემოს შექმნის, რომელიც სრულყოფს ბავშვის განვითარებას თანაბარ პირობებში - როგორც სოციალურ, ისე ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი პიროვნული, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გამოკვეთა და მათი როლის ხაზგასმა, როგორც ეფექტური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.

მასალა და მეთოდები

კვლევის მიზნების საპასუხოდ დასმული ამოცანების შესწავლისთვის კვლევა განხორციელდა საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლებთან. შერჩევის ფორმირებისათვის გამოყენებული იქნა საჯარო საბავშვო ბაღების სხვადასხვა ჯგუფებში ჩარიცხულ მოსწავლეთა მშობლების რაოდენობა. კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა მშობლების შერჩევა განხორციელდა მათი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე. შერჩევის საერთო მოცულობა სტრატიფიცირებული იქნა საჯარო საბავშვო ბაღების რაოდენობის პროპორციულად. თითოეულ სტრატში შერჩევა ჩატარდა დამოუკიდებლად. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 512 საბავშვო ბაღის აღსაზრდელის მშობელი/მეურვე. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზა: ,,ბაღის აღმზრდელების კომუნიკაცია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებთან, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ბავშვის როგორც ბაღში, ასევე სასკოლო გარემოში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის საკითხებზე“.

კვლევის შედეგები

უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ბაღის პერსონალის ჩართულობას ბავშვის ადაპტაციის პროცესში ბავშვების დედები და მამები თითქმის თანაბრად აფასებენ.

[261] Bourdieu, P., & Passeron, J.-C. (1990). Reproduction in Education, Society and Culture (2nd ed.). London: Sage Publications.

ცხრილი 1. სქესი * სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგების როლი ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში								
			V5					Total
			ძალიან მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი	ძალიან დაბალი	
სქესი	დედა	Count	96	78	81	19	6	280
		% within სქესი	34.3%	27.9%	28.9%	6.8%	2.1%	100.0%
	მამა	Count	79	51	63	32	7	232
		% within სქესი	34.2%	22.1%	27.3%	13.9%	2.6%	100.0%
Total		Count	175	129	144	51	13	512
		% within სქესი	34.2%	25.2%	28.2%	10.0%	2.3%	100.0%

ადრეულ ბავშვობაში (სკოლამდელი ასაკი) პიროვნული და სოციალური განვითარება ეტაპობრივი პროცესია, როდესაც ბავშვი სწავლობს სხვებთან ურთიერთობას, კომუნიკაციას, ქცევას, ხდება მისი იდენტობის განვითარება. მკვლევრები აქცენტს აკეთებენ სოციალური განვითარების ხუთ ძირითად ფაქტორზე: ენის განვითარება, სწავლის უნარის გაუმჯობესება, თვითშეფასების განვითარება, კონფლიქტების მართვა/დაძლევა, პოზიტიური განწყობის განვითარება.[262]

ფაქტორულმა ანალიზმა დაადასტურა შვიდი ფაქტორის მნიშვნელოვნება/გაუმჯობესება კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შემთხვევაში. გამოკვეთილი ფაქტორები შესაბამისობაშია კვლევის ძირითად ჰიპოთეტურ ცვლადებთან (Bartlett's Test of Spericity). დეტერმინაციის კოეფიციენტი უდრის 57%-ს რაც ნიშნავს, რომ კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შედეგად ფაქტორების უზრუნველყოფა ხსნის ვარიაციის 57%-ს. (შესაბამისად, კომუნიკაციის მაჩვენებლების ზრდა გამოიწვევს თითოეული კომპონენტის გაუმჯობესებას). ფაქტორული ანალიზი აჩვენებს, რომ მასწავლებლებსა და მშობლებს შორის რეგულარული კომუნიკაცია თვითშეფასების განვითარებაზე დადებითად, თუმცა სხვა ფაქტორებზე სუსტად მოქმედებს (.387) ($p<0.001$).

[262] Foy JM, Kelleher KJ, Laraque D. 2010. American Academy of Pediatrics Task Force on Mental Health. Enhancing pediatric mental health care: strategies for preparing a primary care practice. Pediatrics.

ცხრილი 2. ფაქტორული ანალიზი მასწავლებლებისა და მშობლების კომუნიკაციის ხარისხსა და საკომუნიკაციო საკითხებს შორის		
	Initial	Extraction
გარემოსთან ადაპტაცია	1.000	.645
ხასიათის ცვლილება	1.000	.645
მეტყველების განვითარება	1.000	.652
სწავლის უნარის გაუმჯობესება	1.000	.593
თვითშეფასების განვითარება	1.000	.387
კონფლიქტების მართვა/დაძლევა	1.000	.680
პოზიტიური განწყობის განვითარება	1.000	.620
Extraction Method: Principal Component Analysis.		

a. Only cases for which კომუნიკაციის მაღალი დონე are used in the analysis phase.

ჰიპოთეზის განხილვის მიზნით დამოუკიდებელი ცვლადების კორელაციისთვის, თითოეული ფაქტორისთვის შეიქმნა კოეფიციენტები, რაც წარმოადგენდა ამ ფაქტორების შეფასების 3-5 ქულამდე (მაღალი) მაჩვენებლების ჯამური შედეგს. კოეფიციენტების განსაზღვრის შემდეგ, შესრულდა თითოეული ცვლადის კორელაცია კომუნიკაციის მაღალ ხარისხთან. კორელაცია შესრულდა პირსონის კოეფიციენტების გამოთვლით. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კორელაციის ძირითადი კოეფიციენტები მნიშვნელოვანია 0.01 დონეზე. სტატისტიკური მნიშვნელოვნება ყველა ცვლადისთვის მაღალია, რადგან Sig<0.1. კორელაციის კოეფიციენტები აჩვენებს კომუნიკაციის მაღალ ხარისხსა და პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს შორის დადებით და ძლიერ კავშირს (P>0.05) (P=.316* -.573**). კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით დასმული ვარაუდი, რომ კომუნიკაციის მაღალ ხარისხს დადებითი კავშირი აქვს პიროვნული და ფსიქო-სოციალური და პიროვნული და ფსიქო-სოციალური თვისებების განზომილებებთან დადასტურდა.

ცხრილი 3. პიროვნული და სოციალური ფაქტორების ჯგუფთაშორის შედარება										
		Levene's Test for Equality of Variances		t-test for Equality of Means						
		F	Sig.	t	df	Sig. (2-tailed)	Mean Difference	Std. Error Difference	95% Confidence Interval of the Difference	
									Lower	Upper
კომუნიკაციის მაღალი დონე	Equal variances assumed	2.231	.138	-1.104	105	.000	-1.0986	.9948	-3.0711	.8740
	Equal variances not assumed			-1.383	7.485	.206	-1.0986	.7943	-2.9524	.7552

კვლევამ დაადასტურა ფუნდამენტური ვარაუდი, რომ კომუნიკაციის ეფექტურობა განაპირობებს პიროვნული და ფსიქო-სოციალური ფაქტორების გაუმჯობესებას. ამასთანავე, დადასტურდა საპირისპირო კავშირიც: სკოლამდელი აღზრდის პერიოდში ბავშვის ემოციური განვითარება და სოციალური კომპეტენციის გაძლიერება უზრუნველყოფს კომუნიკაციის შემდგომ ეფექტურობასა და გარემოსთან ადაპტაციისთვის აუცილებელ უნარებს.

კვლევა ხაზს უსვამს, რომ ფსიქო-სოციალური კეთილდღეობა მოიცავს ემოციების რეგულირების, ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და სხვადასხვა გარემოსთან ადაპტაციის უნარს. ეს ფაქტორები გადამწყვეტ როლს თამაშობს ინდივიდის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მის ინტეგრაციაში საზოგადოებრივ ჯგუფებთან, აკადემიურ თუ კარიერულ წარმატებასა და სრულფასოვან, თვითრეალიზებულ პიროვნებად ფორმირების პროცესში.

დასკვნა

ჩვენი კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ კომუნიკაციის კომპეტენციასა და პიროვნული და ფსიქო-სოციალური თვისებების განზომილებებს შორის არსებობს ძლიერი და დადებითი კავშირი. აღსანიშნავია, რომ პიროვნული თვისებებისა და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარება ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვებში კომუნიკაციის უნარების ფორმირებასა და მის ეფექტურობაზე ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე.

ადრეული სკოლამდელი განათლება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა, შესაძლოა გახდეს მყარი საფუძველი კოგნიტური განვითარებისთვის. ამ ტიპის გამოცდილება ბავშვებში ავითარებს სოციალურ ცოდნას, ინტერაქციის უნარს, თანაგრძნობის, პატივისცემის უნარებს, რაც ხელს უწყობს მათ კოგნიტურ ზრდას.

მშობლებისა და აღმზრდელების მხრიდან ემოციური მხარდაჭერა გადამწყვეტია იმისთვის, რომ დაეხმარონ ბავშვებს ემოციების გაგებაში და მართვაში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მშობლები აქცენტს აკეთებენ პოზიტიური კომუნიკაციის მოდელების მნიშვნელობაზე.

სკოლამდელი აღზრდის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ მშობელთა უკმაყოფილება, უმეტესწილად, კომუნიკაციის სიმწირესა და სწავლების მეთოდოლოგიის მრავალფეროვნების დეფიციტს უკავშირდება. ეს ფაქტორები ზღუდავს აღმზრდელთა ეფექტურ კომუნიკაციას ბავშვებთან ყოველდღიურ რუტინაში, რაც, თავის მხრივ, ბავშვთა გარემოსთან ადაპტაციის პრობლემას წარმოშობს.

კვლევის ანალიზმა გამოავლინა, რომ მასწავლებლების მხრიდან პოზიტიური სოციალური ურთიერთქმედება ბავშვებს საშუალებას აძლევს, წარმატებით დაძლიონ რთული სოციალური დინამიკა, ისწავლონ კონფლიქტების მოგვარება და კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ ფაქტორებს შორის, ბავშვთა თვითშეფასება ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, ეფექტური კომუნიკაციის პირობებშიც კი. ეს პრობლემა ნაწილობრივ განპირობებულია მშობელთა მხრიდან მცირეწლოვნებში თვითშეფასების სისტემის შესახებ სათანადო ინფორმაციის ნაკლებობით. მშობლები ამ პიროვნულ მახასიათებელს, როგორც წესი, განიხილავენ გრძელვადიანი პერსპექტივის შედეგებს შორის, რაც ხელს უშლის ადრეულ ეტაპზე მის სათანადო მხარდაჭერასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამონაშვილი, შ. (1996). ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლები. თბილისი: “მეცნიერება”.

2. Bandura, A. (1977). Social Learning Theory. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall.

3. Bernstein, B. (1971). Class, Codes and Control: Volume 1. Theoretical Studies towards a Sociology of Language. London: Routledge & Kegan Paul.

4. Bourdieu, P. (1977). Outline of a Theory of Practice. Cambridge: Cambridge University Press.

5. Bourdieu, P. (1986). The Forms of Capital. In Richardson, J. (Ed.), Handbook of Theory and Research for the Sociology of Education (pp. 241–258). New York: Greenwood Press.

6. Bourdieu, P., & Passeron, J.-C. (1990). Reproduction in Education, Society and Culture (2nd ed.). London: Sage Publications.

7. Created from the same author's doctoral thesis

8. Epstein J. 2002. School, Family, and community partnerships—Your handbook for action. Thousand Oaks: Corwin Press.

9. Foy JM, Kelleher KJ, Laraque D. 2010. American Academy of Pediatrics Task Force on Mental Health. Enhancing pediatric mental health care: strategies for preparing a primary care practice. Pediatrics.

10. Uznadze, D. N. (1966). The Psychology of Set. Moscow: Nauka.

11. Vygotsky, L. S. (1978). Mind in society: The development of higher psychological processes. Cambridge, MA: Harvard University Press.